

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՄԱՏԻՆ




Գրված է իմ Կրթական Գրքերի շարքում

ყოთრნალ „აქეჯილისა“

| | | |
|------|--|----|
| I | ფრინველები და თევზები ლექსი შ. მჭემელისა | 3 |
| II | ყინჩილას თავგადასავალი (ფრანგულიდან) ან. წ—სა. | 4 |
| III | ზანგი და ყინული (ფრანგულიდან) ელ. წყრეთლისა | 8 |
| IV | ობოლი ბარტყები ლექსი გაყა-ფშაველასა | 14 |
| V | ბებიაშაყ იმუშაოს (რუსულიდან) ა. წ. | 16 |
| VI | პასკალის ოჯახი | 19 |
| VII | ძმის მკვლელი ლექსი დ. თამაშვილისა | 30 |
| VIII | ბუე (რუსულიდან). | 32 |
| IX | სამშობლოსათვის თავდადებულნი (ისტორიული) შელაგაშვილისა | 35 |
| X | საკვირველებანი ბუნებისა № I. ჰუანაკო ღაღა აღნიასვილისა | 39 |
| XI | სამეცნიერო გასართობი პარასა | 44 |
| XII | მოუფიქრებელი მონადირე (იგავი) აღ. მ—შვილისა | 45 |
| XIII | ამერიკელი ბავში ანდრია მური (თარგმანი) განიჭა ღორქიფანიძისა | 47 |
| XIV | ვისი ბრალია? | 49 |
| XV | გასართობი გ. პოკეჩასი | 51 |
| XVI | წერილმანი: გამოცანა, ანდაზები, რებუსი და სხვა | 52 |

ქართული
ენების



საქმეაწვილთ ნახატებანი

ეურნალი

127

იზარდე, მწუხანე ჯეჯილო,
დაპურდი, განდი უნაოი.
ი. დ.

№ X

წელიწადი მათე

ბზილისი

სტამბა ბ. გ. როტინანცისა ||| Тип. Т. М. Ротинанца. Гол. ар., д. № 41.
1899.

Дозволено цензурою Тифлисъ, 30-го Октября 1899 года.

ფრინველები და თევზები

(გადმოკეთებული.)

ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი



ეტაჳი თქვენ, დაცურაჳით
უძიძრათ და უდარდელათ,—
როდესაც მტერს დანახავთ
შეერევით მორევს ხელათ.

თ ე ვ ზ ე ბ ი

ჩიორებო, სილაღეში
თევზები ვერ შეკედრებით,
თუ გელთ რამ განსაცდელი
მალა ცაში აფრინდებით.

ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი

მართალია, მაგრამ იქაც
ქორ-არწივი დასრიალებს,
და სოგჯერ სულ ვერა ვრჩები
საბრალონი იმათ ბრჭყალებს.

თ ე ვ ზ ე ბ ი

ცივ-ტალღების ზღვა-მორევში,
არც ჩვენა ვართ მოსვენებით;
კაუშიძლარ დიდრონ თევზებს
ხშირათ ვერც ჩვენ ვეძალებით.

უვინჩილას თავგადასავალი.

(ფრანგულიდან)



რთმა დედამა გამოჩიკა მრავალი წიწილები, მათ შორის მხოლოთ ერთი იყო უვინჩილა.

სასაცილო რამ იყო ეს უვინჩილა. თვითონ სულ შავი იყო, თვალები წითელი ჭქონდა, თავზე შვენიერი სავარცხელი ჯიდასავით ადგა და ისეთი კძელი ჭქონდა, რომ ზოგჯერ თვალზე ჩამოეფარებოდა


ზოლმე, უძლიდა ხედვას და სასაცილოთ ხდიდა მას.

ამ უვინჩილას თავსავარცხლიანს ეძახდენ და ამითი თავი მოჭქონდა, ამაუობდა. რადგან მთელ კარმიდამოში ამის მეტი მამალი არ მოინახებოდა, ვარჩიებს იხვებს და ჭუკებს უველას თავი მოახეზრა. მას ეგონა რომ უველას ეპატეება, ცხვირ წინ ართმევდა მარცვლებს, რომლებსაც სასლის ზატრონის ქალი უფრიდა მათ.

ამისთანა შეუზოვარი და ღორ-მუცელა ქვეყანაზე არავინ არ იქნებოდა. ზოგჯერ ჩასცხებდენ, კარგათ მოახვედრებდენ, მაგრამ მას არაფერი არ დააცხრობდა. სძირათ დედალი ტუქსავდა, ჩვენი უვინჩილა უურსაც არ შეიბე-

რტყავდა და აი ამიტომ ერთსეულ საძაგელი საქმე დაემართა.

ამათ ეზოსთან ახლოს იყო საუხანე. რომელსედაც და-
თესეს ჰური. ევინჩილამ ნახა, როგორ მოვიდენ ჰურის
დასათესათ, როგორ მოიტანეს ძარცვალი და მუჭა-მუჭას
ჭერიდენ. ევინჩილას ამ დღიდან ვეღარ მოესვენა, სულ იმ
ფიქრში იყო, როგორ მიზარყოდა ენას და ძარცვალი ბეკნება.



თითქოს საჭმელი საფოფი არა ჰქონდა! ეზოში ეო-
ველთუის საკენკი მოიზარებოდა, მაგრამ ჩვენი ევინჩილა
აბმუცელა ეო, იმას ეველაფორი ეცოტავებოდა.

ერთ დილას, სწორეთ იმ დროს, როდესაც დედალი
თავის წიწილებით, და ეველა შინაური ფრინველები კენ-



კამდენ საჭმელს, ვვინჩილა საჩქაროთ გადახტა დობეზე და გაექანა სანატრელ ეანისკენ. კზაზე წააწედა მეზობლის ქათამს და ისიც მიიწვია საჭურდლათ.

— წამო, წავიდეთ ეანაში, იქ კარგი საუზმე დაგვხვდება და შევექცეთ.

დობილმა უზასუხა:

— ეკ ეანა ხომ ჩვენი არ არი, რომ კვნახონ გამოკვადებენ, მე ძალიან მეშინია ძაღლებისა. მეტადრე იმ დიდი ვვითელი აბურძგნული ძაღლისა, რომელიც ვოველთვის აქეთ მხარეს დახეტიალებს, მას ბორბოტი თვალები აქვს, უნდა ბრახინანი იყოს.

— ნუ გეშინია ნურაფრისა! ხომ ხედავ, რომ არავინ არის, წამო ჩქარა.

ქათამი გაჭევა, წავიდენ. ორივე ისე გაერთენ მარცვლის კენკაში, რომ ფიქრათაც არ მოსვლიათ მიეხედ-მოეხედნათ. უცვებ გაიგონეს, ეანის ჰატრონი როგორ უსევედა ამათ დიდ, ვვითელ აბურძგნულ ძაღლს.

— სსს! სსსი! გაიქე, დაიჭირე! სსსი!...

ევინჩილას ამხანაგმა, რომელმაც კაი ფრენა იცოდა, თავს უძველა, დიდი ვაი ვაგლახით მღვეარ ძაღლს დაუსსლტა. ძაღლი იუეფებოდა, სტოდა, თითქმის დაჭერახე იყო, მაგრამ ქათამმა უვნებლად მიადწია თავის ბინას.

ამ საშინელი ხმაურობით შეშინებული ევინჩილა სულ დაიბნა, კზა და კვალნი აერია და იმის მაგივრათ, რომ



თავის ბინისკენ გაქცეულიყო, უფრო და უფრო ძედიოდა ეანაში და ეანის ჰატრონის ბინას უახლოვდებოდა. ძალ-ლი უწეალოთ მისდევდა, ჰეუფდა, ევინჩილაც სტოდა, ფრინავდა რაც კი შეეძლო.

მისი გრძელი ბიბილო, რომლითაც ისე ამაუბდა, თვალს უფარავდა და გზის გაგნებას უშლიდა და ძალი ისე ახლოს მისდევდა, რომ კუდს და ფრთებს აკლევდა. ევინჩილას ეგონა, რომ ეს ეს არი გაჭკლევჯენ, მოკვდება, მაგრამ ამ დროს ჰატრონმა თითქო მამალი შეიბრაღაო, ძალს დაუძახა.

ევინჩილა გაეშურა სახლისკენ, ურში ჯერ კიდევ ესმოდა უწეალო ძაღლის ეეფა, საშინლათ ეჩქარებოდა, რომ ძაღლმა არ მომასწროსო. ნუ რა თვალმა ნუ ნახოს, რა ეოფითაც ის შევიდა თავის ეზოში, სადღა ეყო მისი ამაუობა! კუდის შეენიერი მწვანე ბუმბული ბრძოლის ველზე დარჩენოდა, ერთი ფრთის ბუმბული სულ აღარა ჰქონდა. თავსავარცხელი გამტვრიანებულიყო. სწორეთ სანახავი ეო ახლა ჩენი ევინჩილა! მთელი კარმიდამოს ფრინველები დანახეს დობიდან ეს ამბავი და აბა რამდენს დაცინებდენ.

ვარიკები, რომლებსაც ევინჩილა ეოველთვის აწვალე-ბდა, ახლა გიჟებივით იცინოდენ შერცხვებილ ევინჩილაზე. ამ ამბავმა ისვებიც და ჭუკებიც საშინლათ ააფაუნა. რაც შეესება დედალს, ის ძალიან დანადვლიანდა შვილის უსაქციელობაზე. თანაც ფიქრობდა, რომ მეტი დასჯის ღირსიც ეო. მან მიიუვანა ევინჩილა ეზოს ერთ კუნჭულში და კარგა დატუქსა.

ზანგი და უინული.

(ფრანგულიდან).



აეის სამშობლოდან, სადაც ისე ცხელა, რომ წყალს არასოდეს არ ჰყინავს, პატარა ზანგი, ტიემბო, ჯერ არსად წასულიყო, ამიტომ ახლა, როცა მეზღვაურებთან ერთად გემზე იდგა, ის გაკვირვებით და აღტაცებით მისჩერებოდა დიდ, უზარ-მაზარ უინულებს, რომლებიც მთებივით ამართულიყვენ და რომელთა

შორის მათი გემი ძლივს იგნებდა გზას. თეთრ და გამსჭვერ უინულს მზის სხივები ისე შეენიერთ ათამაშებდენ და აელვარებდენ, როგორც რაიმე ძვირფას ქვებს.

— რა არის ეს? — ბოლოს ველარ მოითმინა და ჰკითხა მან მის გვერდში მდგომ მეზღვაურს.

— ეს? ბრილიანტებია! — ღიმილით მიუგო მეზღვაურმა. — იცი, რა არის ბრილიანტი?

— კი! — აღტაცებით წამოიძახა პატარა ზანგმა და მისმა შავმა თვალებმა ამ წამს ისეთი სიხარულით იელღეს, რომ თითონაც იმ ძვირფას ქვებს დაემსგავსენ; — კი! ტიემბოს დედის ქალბატონს აქვს ბრილიანტები, აი, აქ! — და ზანგმა ყურის ბიბილოზე მოიკიდა ხელი. — ძალიან ლამაზია! როგორც ცეცხლი! დედამ თქვა, ძვირიაო... ბევრი, ბევრი ფული ღირსო...

— ჰო! და აი ის ბრილიანტები, რომელიც დედიშენის ქალბატონს აქვს, აქედან არის წალებული!

— აქედან? — გაშტერებით წამოიძახა ტიემბომ.

— ჰო. ხომ ხედავ, რომ აქ საკმარისია!

პატარა ზანგმა საჩქაროთ ჩაიკვა თავისი საღმრთაო საფულა-
ნისამოსი და, ფეხშიშველა, როგორც ყოველთვის, წარდვა უფროსი
აფიცრის წინაშე.

— რა ვინდა? — შეეკითხა აფიცერი.

ტიემბომ აატრიალა ხელში თავისი ქუდი (ამით ის ყოველთვის
თავს გაიმხნეებდა ხოლმე გაჭირვების დროს) და თავისი თხოვნა
მოახსენა აფიცერს. მას მიწაზე ჩამოსვლა უნდოდა; უნდოდა ახ-
ლოდან ენახა ეს უცნაური, შეენიერი, ბრჭყვიალა ქვეები, რომლე-
ბის ნახვაც უთუოთ სხვა ადგილას არ შეიძლებოდა.

რადგანაც ტიემბო ხშირი თხოვნებით არ აწუხებდა ხოლმე უფ-
როსებს, ახლა მის თხოვნას ნება დართეს.

რამდენსამე წუთს შემდეგ ის ჩაცურდა გემიდან ნაევში გადაკი-
დებულ ბაწარზე და პატარა ნაევში მოთავსდა რამდენიმე მგზღვაურ-
თან ერთად.

ტიემბოს გული სინარკელით სულ ფართხალებდა. ერთი წამი
კიდევ და ის მიაღწევს ბრილიანტების მთებს. ის წაიღებს სახლში
იმდენ ბრილიანტებს, რომ მთელ თავის სიცოცხლეში ეყოს. ვერ-
იზომენის თუ?

პატარა ზანგს ფიქრათაც არ მოსვლია ვისმესთვის ეკითხა, თუ
ეს ბრჭყვიალა ქვეები ასე ძვირფასი იყო, რატომ არ გაჩერდებოდა
გემი და არ დაიტყირთებოდა მათი? მაშინ ხომ ყველა გამდიდრდებო-
და, კაპიტრიდან დაწყებული უკანასკნელ მგზღვაურამდე?

მაგრამ... ყველაფერზე ფიქრი განა შესაძლებელია?

ნაემა ნაპირს მიაღწია. ტიემბო გადახტა.

აი! აი! ოხ! ოხ! ვაი! ვაი! — დაიწყო ყვირილი მან, დააკარა თუ
არა თავისი ტიტველი ფეხები ყინულს. — ოხ! ოხ! ვაი! ვაი! დამწვა!
დამწვა! — და ბევრი ხტოდა და კვინტა იზობდა, თითქო ფეხებში ნემსები
ერჭობოდა. — მწვამს! მწვამს! — იმეორებდა ის და თან ხან ერთ ფეხს
წედა ზევით და ხან მეორეს.

ეს ყვირილი და ხტუნვა ძალიან ამხიარულებდა ყველა მგზღვაურებს.

— წავიდეთ, წავიდეთ!—დაიძახა ბოლოს ტიემბომ.—ახლავე წავიდეთ ისევ გემზე.

— სწორეთ კარგი იქნება!—ღიმილით მიუგო მგზღვაურმა, რომელმაც დააჯერა, ყინული—ბრაღიანტიაო.—ასე ხელცარიელი წავიდეთ? არც ერთი ძვირფასი ქვა არ წავილოთ? ნუ დაგავიწყდება, პატარა მაიმუნო, რომ ასეთი შემთხვევა აწი აღარ შეგხვდება!

— ოი, ოი! ვაი, ვაი!—ისევ დაიწყო ყვირილი ტიემბომ, რომელსაც ფეხები სულ გაუშვშდნ სიცვისაგან—ოხ! ოხ! ვაიმე! ვაიმე! ცოცხა კი არის მართლა ამ ბრილიანტების აქ დატოვება!

— აბა ჰე!—თავზე ხელი გადაუსვა მგზღვაურმა.—ჩვენ მოგვხმარებით! აი, შეხედე, რა კაი ნაჭერი ქვაა!—თავისი ლურსმნებით დაჭედული ქუსლით მან მოტეხა უშველებელი ყინული და ტიემბოს მიაწოდა.

— ოხ! ოხ! ვაი! ვაიმე! ტიემბო მადლობელია—მხურვალეთ წარმოთქვა ბავშვა, რომლის მოღიმარე პირი უზომო აღტაცებას ხატავდა, თუმცა აუტანელი სიცოცხე დიდ შავ თვალებს სულ ცრემლებით უფსებდა.

ამას შემდეგ ყველა საჩქაროთ დაბრუნდა გემზე. ტიემბო, რომელსაც გულზე სიყვარულით მიეხუტებინა უშველებელი ნაჭერი ამ შეენიერი გამსჭვერი ქვისა, რომელიც ხელებს წვამდა—ნავის ბოლოს დაჯდა.

ფეხებში გამდგარი სიცოცხე ახლა ხელებშიაც გადაუვიდა. მის გაშვებულ თითებს ძლივს ეჭირა ძვირფასი ქვა, მაგრამ იმ სიმდიდრის წარმოდგენა, რომელსაც ეს ქვა მიაჩნებდა მომავალში, ყველფერს ავიწყებდა და აღტაცებული პატარა ზანგი უფრო და უფრო მაგრათ უჭერდა ხელს ყინულს, უფრო სიყვარულით იხუტებდა მას გულში.

სიცივემ ახლა მხრებამდისაც მიაღწია... მწვამს! მწვამს! — წამ-და-უწყუმ იმეორებდა ის, თუმცა მაინც მაგრათ იკრავდა გულში იმ საგანს, რომელმაც ამდენი ტანჯვა მიაყენა.

— ტიემბოს ამხანაგებს, იქაურობებს, ძალიან გაუკვირდებათ მდიდარს რომ დაინახავენ... დიდი, დიდი კაცი იქნება ტიემბო ლამაზი ქუდით და კარგი ტანისამოსით. დედაც დიდი ქალბატონი გახდება, ლამაზი კაბები ექნება და ბრილიანტები, მსხვილ-მსხვილი ბრილიანტები, საყურეები, ყელის კრიალოსანი, ბეჭდები, ბრასლეტები, ყველაფერი გამოვა ამ ქეამი! მერე რამ ხელა!

ამ ფიქრებში და ოცნებებში გართული, ის ტკივილსაც ვეღარ გრძნობდა, მაგრამ ვეღარც იმას გრძნობდა, ფეხები და ხელები ჰქონდა კიდევ თუ არა, ისე რომ როცა გემს მიუახლოვდნენ და ბაწრის კიბეზე ასვლა დააპირეს, ტიემბო ბაწარს ვეღარ მოებლაუჭა და ისიც და მისი ძვირფასი განძიც მეზღვაურებმა ხელით აიტანეს.

მთელ გემზე გაერცვლდა ხმა, რანაირათ მოატყუილეს პატარა ზანგიო, და დანარჩენი მეზღვაურებაც მხიარული სახით მორბოდნენ, რომ ძვირფასის ქვის პატრონისთვის მოელოცნათ მისი ბედნიერება. ტიემბომაც, რომელსაც თვალი ვერ მოეშარებინა თავისი ბრილიანტისთვის, აღტაცებული ღიმილით მიიღო ყველას მილოცვა.

— ტიემბო ავი არ არის! ტიემბო ყველას მოგცემსთ ცოტ-ცოტას! — ანუ გეშებდა ის ყველას...

მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა და აკვირვებდა ბავშვს. თუმცა ძალიან გულით წმენდდა თავის ქვას, ხან შარვლით და ხან ზედა ტანსაცმელით, ის მაინც სველი იყო და თითებსაც უსველებდა. ნეტავი რა მიზეზი უნდა ყოფილიყო? საწყალ პატარა ზანგს ვერაფრით ვერ აეხსნა ეს საკვირველი მოვლენა.

— უნდა გააშრო! — ღიმილით უთხრა ერთმა მეზღვაურმა. მაშინვე შეენიერმა ახრმა გაურბინა ტიემბოს თავში.

— ტიემბო უსათუოთ გააშრობს! — გადაწყვეტით თქვა მან.



საჩქაროთ გასწია მან გემის პატარა სამზარეულოში, სადაც მზარეულთა კაპიტანს სწორეთ ამ დროს სადილი უმზადებდა, გაუზიარა მას თავისი მწუხარება და თანეა ნება მიეცა ბრალაანთა ცეცხლზე გაეშრო.

— კარგი! გააშრე! — ეითომ გულმასულათ, თუცა ღიმილით, უთხრა მზარეულმა, რომლის ყურამდასაც მიეღწია პატარა ზანგის სგასულელების ამბავს.

— ტიემბო მადლობელია, ბატონო მზარეულო! — აღტაცებით უთხრა ზანგმა.

— იცი რას გეტყვი, პაწია მაიმუნო! — დაუჩატა მზარეულმა. — აი, პატარა ქვაბი. ამაში ჩადევი და ისე გააშრე, უკვეთ გაშრება. — ტიემბომ აღარც იცოდა მადლობა როგორ გადაეხადა; ფრთხილათ ჩადეა მან თავისი ვანძი პატარა ქვაბში და ერთხელ კიდევ შეეკათხა მზარეულს:

— ხომ არ დაიწვება?

— ნუ გეშინია! — გაიცინა მზარეულმა.

— სახურავი რომ ჰქონდეს, კიდევ უკეთესი იქნებოდა! — ამოიოხრა ტიემბომ.

მზარეულმა არც ამაზე უთხრა უარი; ტიემბომ სიხარულით დახურა ქვაბს სახურავი და მერე ქვაბი ცეცხლზე დადგა.

— მზათ იქნება? — რამდენსამე წამს შემდეგ იკითხა მან.

— ჯერ არა, მოთმინება იქონიე! — უბასუხა მზარეულმა. — მალე თუ ნახე — წახდება!

— ტიემბო მოთმინებას იქონიებს! — სწრაფათ წაილაპარაკა შეშინებულმა პატარა ზანგმა.

როცა მისი აზრით ძალიან დიდმა ხანმა გაიარა, მან ხელ ახლავ იკითხა.

— ახლა ენახო?

— ნახე!

ტივბრომ სასურავს ასწია და... ღმერთო დიდებულა! ბრკვეი-
ლა შეენიერი ძვირფასი ქვის მაგიერათ, იმ ბრიალნტის მაგიერათ,
რომელსაც ის და დედა მისი უნდა გაემდიდრებინა—ქვაბში წმინდა,
ანკარა წყალი ესხა.

ტივბო ჯერაც ვერ გამოკვეყულა და აქამდისაც ვერ გაუგია,
როგორ და რანაირათ მოხდა რომ იმ სიდიდე და იმ სიმაგრე ქვა ისე
უცნაურათ და გაუგებლით უბრალო წყლათ გადიქა.

კლ. წერეთელი.





მ გ ლ ი ბ ა რ ტ ყ ე ბ ი.

დაობლებული ბარტყები,
 უდგობასა ტირიან;
 ბუდიდან გადმოცვივიან
 გულ-საკლავათა წივიან.
 დაბლა მიწაზე ბღორტავენ
 გინგლიანები, წვრალეები,
 ჰირებს აღებენ საჭმლისათ
 ნიბლია ჩიტის შვილები.
 თითონ ვერც საჭმელს ჰოობენ
 არცა ჩვეულან ფრენასა;
 მარტო ერთს თავის ვაებას
 ათქმევინებენ ენასა.
 გულის მომწვევლელი წრიპინიო
 ფრინველთ უსძობენ სმენასა,

კულ-უბრევილონი.. იმათთვის
ვინ მოინდომებს შველასა.
საკუთარი ჭეპავ შვილები
ნადირს და ფრინველს უველასა;
ჯერ არც იცნობენ საწულები
თავის მუსხანათს შელასა

ვაჟა-ფშაველა.



გვიჩავს იმუშავოს.

(რუსულიდან).



რთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ჰატარა ქალი თავისი ბებიით. ისინი ისეთ საშინელ სიღარიბეში ცხოვრობდნენ, რომ ეველას ეცოდებოდათ. ემაწვილს არ შეეძლო სამუშაოს შოვნა, რადგან ძლიერ ჰატარა და სუსტი რამ იყო, ამის გამო ის სძირათ მათხოვრობდა

და მითი არჩენდა ბებიასაც და თავის თავსაც. ერთმა შორეულმა ნათესავმა, რომელიც ვაჭარი იყო, საბრალო ჰატარა ქალს და მის ბებიას თავის სახლში შეაფარებინა თავი და ლუკმა ჰურცი გაუჩინა; ის ხან და ხან მიუგდებდა ხოლმე იმათ სადილის და ვახშმის დანარჩენს, მაგრამ ესეც ძნელათ ემეტებოდა ვაჭარს. ბოლოს მან გამოუცხადა ჰატარა ქალს, რომ იმხსაც და ბებიასაც უნდა ემუშავნათ ისე როგორც სხვებს, თორემ გააგდებდა სახლიდან. ჰატარა ქალს კიდევ შეეძლო რისამე გაკეთება, მაგრამ ბებია აბა რას გააკეთებდა. ის იყო ოთხმოცი წლის ბებერი; ერუ, ბრმა და ისეთი უძლური, რომ მთელი

დღეობით არც დგებოდა ქვეშაგებიდან. გულ-ცივი ვაჭარი გაუკითხავი იყო:

— სისულელეა, გაიძახოდა ის, — განა არ იქნება ქსოვოს, ჭკეროს, იმუშაოს რამე, ცოტა საქმე მოინახება! მაგრამ ვინ რას ეტუოდ ბებიას. რომ ეთქვათ კიდევ, უურს აკლდა და ვერაფერს ვერ გააკონებდენ. ტუუილა არწმუნებდა ზაწია ქალი ვაჭარს, რომ მის ბებიას მუშაობა არ შეეძლო, უძლური და ლოკინათ ჩავარდნილიათ. მანც ვაჭარი თავისას „გაიძახოდა: იმანც უნდა იმუშაოს ისე, როგორც სხვებმაო.

თითონ ზაწია გოგო კი დიდიდან საღამომდის მუშაობდა: რეცხდა ჭურჭელს, ესმარებოდა მხარეულს, მარგლიდა ბოსტანს და ხან და ხან თავისი დიასახლისის ბავშვებსაც უვლიდა.

— ეს სუყოველიფერი კარგი, მაგრამ ბებია რადანს აკეთებს? კითხულობდა ხოლმე ხშირათ ვაჭარი. და აი აღმოჩნდა ბებიის ნამუშავარიც, ორ დღეში მან მოქსოვა ერთი წველი წინდა, დაუკერა ვეელას საცვალი, შემოჭკეცა ცხვირსახოცებს.

— ჭხედავთ, ამბობდა ვაჭარი, ხომ გეუბნებოდით, რომ ბებერი ქალი ზარმაცობს, ჩემი სიტყვა ხომ გაძარტლდა. ბებია კი მუშაობდა და მუშაობდა.


ერთხელ დიასახლისს ღამე არ ეძინებოდა. ძილი გაუტედა, წამოდგა და შორიდან დაინახა სანთლის შუქი.



იმ ოთახში, სადაც ბებიას და ჰაწია გოგოს ეძინათ...
 ნეტა რა ამბავია? იფიქრა მან, და მიაღწა თვალი კლიტის
 ჭკუჭრუტანას.

ახლა კი მისვდა დიასახლისი ვინ მუშაობდა ბებიათ
 შაკიერ. ამიერიდან აღარავინ არ აწუხებდა ბებიათ. აღ-
 რავინ არ ამუშავებდა მას, და უსომო მუშაობისაგან და-
 სუსტებულს ჰატარა გოგოსადაც მიეცა შვება ვაჭრის გული
 მოლბა.

ა. წ.







პასკალის ოჯახი.

აისში, 1631 წელს ქალაქ კლერმონის მცხოვრებლები აღელვებულნი იყვნენ სასაჯულოს უფროსის, ეტიენ პასკალის, უცბათ გადასახლებით. ის ისე უყვარდათ ყველას და პატივს ცემდნენ, რომ ვერ გაეგოთ, რათ ტოვებს იგი ამისთანა დიდ ადგილს და გადადის საცხოვრებლათ სატანტო ქალაქში.

— უსათუოთ ლაპარაკი მოუვიდოდა თავის ამხანაგებთან რაიმე საქმეზე; — ამბობდა ზოგი ერთი.

— სულაც არა, უპასუხებდნენ სხვები, — სარჩოს დაჰკარგავდა, რაიმე საქმეებში გაეგმოდა და ამიტომ წასვლა არჩია, რადგან აქ მაგას ყველა იცნობს.

უაქმონი, მეჭორენი იმდენ რასმეს იგონებდნენ პასკალზე და მის სახლ ობაზე, ისეთი უცნაური ისტორიები შეთხზეს, რომ ადამიანი ვერ გააჩივდა, რომელი იყო მართალი და რომელი ტყუილი. ნამდვილი მიზეზი იმისი, რომ პასკალი თავს ანებებდა სამსახურს და თვით ქალაქ კლერმონსაც — სულ სხვა იყო. მას უნდოდა საკუთრათ თითონ გამოეზარდა თავისი შვილი ბლესი, რომელსაც სწავლის დრო მოუახლოვდა, რვა წლისა შესრულდა ღ რომელიც საოცარ ნიჭს იჩენდა.

— შესაძლოა ჩემი შვილი გამოჩენილი კაცი გახდეს, — ეუბნებოდა პასკალი თავის მეგობრებს, — მე თითონ უნდა აღეზარდო და ამიტომ საჭიროა სამსახურს თავი დავანებო.

ბევრი ნაცნობები ჰკიცხავდნენ პასკალს ამისთანა საქციელისთვის, მაგრამ ვინც კარგათ იცნობდა მის ოჯახს, არ უკვირდათ რომ ეტიენი შვილის გულისთვის ანებებდა თავს ისეთ სამსახურს, რომელიც ვინიციის რა გამოჩენილი ადგილს უქაღიდა. ყმაწვილს ერთი

შეხედვით ყველა შეატყობდა რომ დიდი გონიერი უნდა ყოფილიყო: შუბლი მალალი, გამოვარდნილი ჰქონდა, დიდრონ ნათელ თვალებში გამოიხატებოდა დაკვირვებაც და გამჭრიახობაც, ტუჩების მოყვანილობა სახეს აძლევდა მიმზიდველ და ჰკვიანურ შეხედულებას.

ეტიენ პასკალს უნცროსი შეილი ორი წლისა ჰყავდა, როდესაც ცოლი მოუყვდა. მისი უფროსი ქალი, 10 წლის ქილბერტა, გახდა დიასახლისათ და დედობას უწევდა პატარა და — ძმას.

ახლაც ჯაფა გადასახლების გამო და ბარგის ჩაწყობა, სულ ქილბერტას კისერზე იყო. თუმცა ყმაწვილი მხოლოდ 13 წლისა იყო, მაგრამ შეენიერათ უძღვებოდა სახლს, მოსამსახურებს ყურს უგდებდა და ყველაფერი რიგზე და კარგათ უკეთდებოდა ოჯახში. იმავე დროს პატარა ბლეზი ეთამაშებოდა უნცროს დას, ჟაკელინას, შეელოდა დედოფლების ტანისამოსის ჩალაგებას. ამ პაწაწას ძალიან ბევრი დედოფლები ჰყავდა, გულმოდგინეთ უელიდა მათ, ძალიან უყვარდა, შეიღებათ მიაჩნდა და წუხდა, როგორ, წაეყვანოყო. ბლეზმა აიღო ხელში თალხი აბრეშუმის კაბით მორთული დედოფალა, რომელიც ხანში შესულ ქალს წარმოადგენდა და უთხრა იმას:

— ქალბატონო, ინებებთ და წამობრძანდებით ჩვენთან ერთად პარიზში თუ არა? იქ ბევრ ხალხსა ნახავთ, გამოჩენილი სწავლულები იელიან ჩვენსა... ჟაკელინა! მოუბრუნდა მერე თავის დას, — შენი დედოფალა რატომ პასუხს არ მაძლევს?

ჟაკელინა ყოველთვის დედოფლების მაგიერათ ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა ისე გართული იყო დედოფლების ტანისამოსის ჩალაგებაში, რომ ხმა არ გასცა.

— ან იცის პარიჟი რა ქალაქი არის და რას გიპასუხებს, უთხრა ძმას — მთელი სიცოცხლე კლერმოანში გაუტარებია.

ამ დროს ბლეზი აღარც კი უკლებდა ყურს. მან უცაბედად წკებლა მოარტყა საინს, (თევზს) რომელიც მაგიდაზე დაეწყობათ ჩასალაგებლათ; საინმა ხმა გაიღო და ამაზე დაფიქრდა ყმაწვი-

ლი. მერე მეორე საინს დაარტყა წკებლა, მერე მესამეს: შემოვიდა ჟილბერტა და უთხრა ძმას:

— შენ ასე მთელ ჭურჭელს ღამინტერევე.

და საჩქაროთ მოაცალა საინები, ბლეზი გამოუდგა ხეწნით და უთხრა.

— ნება მომეცი რომ წკებლა ერთხელ კიდევ დაეარტყა, მაგრამ ჟილბერტამ ნება არ მისცა.

— არა, ჩემო კარგო, ამის ნებას ვერ მოგცემ, ეს ძვირფასი ჭურჭელია, დედას ძალიან უყვარდა, შენი წკებლა სხვა რასმე დაარტყი,

ბლეზი მაშინვე გაექანა სამზარეულოში, შედგა სკამზე და დაუწყო თაროზე ნელა ნელა წკებლის ცემა, ხან ერთ სეინს ხან მეორეს, ისე რომ არც ერთი ჯამჭურჭელი არ დატოვა. იმითი ისარგებლა, რომ ყველა დალაგებაში იყო და იმისთვის არაფის სცალოდა, მერე მოინდომა ზემო თაროზე რომ დიდი ჯამი იდგა, იმისთვის დაერტყა წკებლა, შედგა ფეხის ფრჩხილებზე, მაგრამ უცბათ გადაუბრუნდა სკამი და ბლეზი დაეცა იატაკზე, რამდენიმე საინი გადმოვარდა და დაიშხნა. ხმაურობანე მოვარდა ჟილბერტა, ძმა ააყენა და ამისთანა გაუფრთხილებელ საქციელისთვის დატუქსა. ბლეზმა ყური არ ათხოვა, რადგან ახლა სხვა რაღაცამ გაიტაცა მისი ჭკუა-გონება და გაიქცა ჟაკელინასთან, რომ ეამბნა ყველაფერი.

— იცი რა გითხრა, ეუბნებოდა ის თავის დას, როდესაც საინს დაჰკრამ, ის თავისებურ ხმას იძლევა და თუ ჭურჭელს წყლით აავსებ, მაშინ ხმა სულ სხვა ნაირია, რათ უნდა იყოს ეგ აგრე? მე მიწოდოდა დიდ ყვითელ ჯამზე მეცადნა, რომელიც ზემო თაროზე დგას, ის, უსათუოთ სხვა უფრო კარგ ხმას გამოიღებს; მაგრამ ამ დროს სკამი გადამიბრუნდა, ორი საინი გავტეხე; და ჟილბერტამ სამზარეულოდან გამომავლო.

— არ მოვეშვები, როგორც კი ის წავა საღმე, შეეუდგები ისევ ჩემ გამოცდას.



— მაშ შენ დაიწყებ კიდევ საინების ნტერევეს? ჰკითხა პატარა დაიამ, რომელიც ამ დროს გულმოდგინეთ ნანინას ეუბნებოდა დედოფლებს.

— არა, სიცილით უთხრა ძმამ, მე სულაც არ ვაპირებ საინების გატეხას, მინდა მხოლოდ შევიტყუო რათ აქვს ჭურჭელს სხვა და სხვა ნაირი ხმა? ეგ რა სიმღერას მღეროდი შენ ახლა? მე ჯერ არ გამიგონია... ჩემო დაია, მასწავლე.

ქაკელინა გაწითლდა.

— ჩემი მოგონილია. ეს ნანინა ჩემ პაწია შეილებს გამოუთქვი.

მოგზაურობის დროს კლერმონიდან პარიჟამდის პატარა ბლევზი არ აყენებდა არც საინებს და არც ჭიქებს ისე, რომ არ გამოეცაღნა რა ხმაურობას იძლევა სხვა და სხვა ჭურჭელი და ყველა თავის გულის პასუხს ქაკელინას უზიარებდა.

— რაო შეილო, აღთქმა ხომ არ დაგიდევია, რომ ყველა სასტუმროებში ჭურჭელი ჩაღწეო. — ეკითხებოდა მამა.

ქაკელინა იცინოდა და ძმის საიდუმლოს არ ამხელდა.

— უნდა უსათუოდ შევიტყუო რატომ ყველა ჭურჭელი ერთნაირ ხმაურობას არ იძლევა; ამბობდა წამდაუწუმ ყმაწვილი. პარიჟში მოვიდნენ, მაგრამ ბლევზს ჯერ არ ჰქონდა გამორკვეული თავისი აზრი ჭურჭლის ხმის შესახებ.

დაბინავდნენ თუ არა სატახტო ქალაქში, პასკალმა მაშინვე მოძებნა თავისი ძველი ამხანაგები და რჩევა კითხა მათ შეილის აღზრდაზე. ბოლოს გადასწყვიტა, რომ ბლევზს ასწავლის ჯერ ძველ ენებს და ისტორიას, მერე, როდესაც ყმაწვილი ბერძნულ და ლათინურ ენებს კარგა შეისწავლის, მაშინ მატემატიკას დააწყებინებს. ზოგი საგნები თითონ უნდა ესწავლებინა და ზოგი აბატ დიურანს. ასე ჩასვეს ყმაწვილი სამუშაოდ. თავისუფალ დროს მამას დაჰყავდა ხან სასეირნოდ და ხან თავის ტოლ ამხანაგებში. პატარა დაიამ სულ

მოიწყინა, ძმას რომ თავის გვერდით აღარ ხედავდა, დედოფალებიც კი აღარ მოსდროდა თვალში და აღარც ართობდენ მას.

— ასწავლე მაგ პაწიას ანბანი, უთხრა ერთხელ მამამ ჟილბერტას, — ჭკვიანი გოგონაა და როდესაც ანბანი ეცოდინება, თითონვე ისწავლის.

ჟილბერტამ დასრულა მამის სურვილი.

— მოდი ჩემთან, ჟაკელინავ, გიჩვენებ ასოებს. უთხრა დამ და აიღო ხელში ძველი ალტკმა, თითონაც ამ წიგნზე ესწავლა კითხვა.

ჟაკელინამ თავისი ხუთი დედოფალა გულზე მიიკრა, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა დას და იქვე იმის ფეხებთან ჩაჯდა.

— მასწავლე თუ გინდა, ოღონდ ჩქარა, ჩემი დედოფალები მოიწყენენ.

მალე დაისწავლა ასოები და საქმე ამაზე შეჩერდა. როდესაც მამა დაბრუნდა სახლში ჟაკელინამ უთხრა, აღარ მინდა სწავლაო.

— ძალიან ძნელი ყოფილა სწავლა, აჯერებდა ბავში მამას.

მამამ გაიღიმა და უთხრა:

— მე კი მეგონა რომ ისწავლე კიდევ კითხვა და დაგიპატიჟე სენტოს ორი პატარა ქალიშვილი. ხვალვე მოვლენ შენთან.

ჟაკელინამ სიხარულით არ იცოდა რა ექნა.

— რაში მინდა სწავლა? ეუბნებოდა ყმაწვილი ჟილბერტას. უიმი-სოთაც ბევრი საქმეები მექნება.

ჟილბერტა შეწუხდა და გადახედა მამას.

— აბა, ახლა ეილა დასვამს მაკას წიგნის საკითხათ.

— დავანებოთ თავი, ცოდვია, ექვსი წლისაა, მეტი ხომ არა. — უპასუხა მამამ.

წიგნის სწავლა მეტათ ცუდათ მიდიოდა. ჟაკელინა დაუმეგობრდა სენტოს ქალიშვილებს — მარგალიტას და ევენას. მხიარული, ჭკვიანი ბავში მეგობრებმა შეიყვარეს. და სენტოს ცოლს ჟაკელინა ხშირათ მიჰყავდა თავისთან.



ჟილბერტამ ველარა გზით ვერ აღებინა დას წიგნი ხელში, აეშა ახლა სულ სხვა რამეები უტრიალებდა თავში.

პასკალს უნაროდა, რომ მის დაობლებულ შვილებს სენტოს ცოლი ასე ყურადღებით ექცეოდა და არ უშლიდა ჟაკელინას მასთან ხშირათ სიარულს.

— რატომ შენც არ მიდიხარ სენტოს ცოლთან? — უთხრა ერთ-ერთ მამამ ჟილბერტას და ალფრისით ხელი გაღუსვა მის ჭკვიან სახეს, — შენც რამდენჯერ დაუპატიჟებხარ.

— მე მოცალეობა არა მაქვს! სახლი ვის ანაბარას დავტოვო? უპასუხა პატარა დიასახლისმა და როდესაც სენტოს ცოლი დაჰპატიჟებდა ამათ, ჟილბერტა მორთავდა ხოლმე პატარა დაიას და ასე დააბარებდა:

— ბოდიში მომთხოვე, მე დღეს სრულებით დრო არა მაქვს. — და ჟაკელინაც დაბარებულს ასე გადასცემდა:

— ჟილბერტას იმდენი გასაღებები აბარია, რომ სტუმრათ ვერსად ვერ წავაო.

ასე გადიოდა დღეები. ბოეზი მუდამ ან მამას დასდევდა ან სწავლაში იყო და ან მის ნასწავლ ამხანაგებში ატარებდა დროს, ისე რომ შეეჩეია დაკვირვებას და განვითარდა. თავისუფალ დროს აკვირდებოდა სხვა და სხვა საგნებს და თავის გამოცდაზე ელაპარაკებოდა დაიას, ჟაკელინას არა ესმოდა და ბევრს დასცინოდა. ერთხელ ძამ წაუკითხა თავისი გამოკვლევა, თუ ხმა საიდან გაჩნდება ხოლმე. გოგონა დიდხანს მოთმინებით უგდებდა ყურს, ბოლოს მოწყინდა და გაიქცა თავის დედოფლებთან. პაწია ქალი სულ სტუმრობაში და დედოფლებთან თამაშობაში ატარებდა დროს. უფროსი და ძალიან წუხდა რომ მისი დაია ასეთი ზარმაცი გამოდგა და ნაღვლიანათ ეუბნებოდა მამას — ჩემი დაია სულ უსწავლელი დარჩებაო, პასკალი ამშვიდებდა თავის ქალა.

— ჯერ ძალიან პატარაა, თითონვე მოინდომებს სწავლას.

ერთხელ ჟილბერტამ დასთან ხმა მალდა დაიწყო ლექსის კით-

ხეა. ჭაკელინა იჯდა კუთხეში და დედოფლებს ელაპარაკებოდა. გინა-
გონა თუ არა, დაჰყარა თავის დედოფლები იატაკზე და მოიბრინა დას-
თან.

— თუ გინდა რომ ვისწავლო კითხვა, მაგ წიგნზე მასწავლე.
მე ეგ ლექსები ძალიან მომწონს.

დამ გაკვირვებით შეხედა და უთხრა:

— ხომ ვერ გაიგებ რაც აქა სწერია.

ამ დროს პატარამ ზეპირათა თქვა რამდენიმე სტრიქონი დისა-
გან წაკითხული ლექსისა. ჟილბერტა გაოცდა რომ ამისთანა მეხსიე-
რება ჰქონია მის დას და მიაწოდა წიგნი. ერთხელ გაგონილი ლექ-
სი პატარამ შეენიერათ წაიკითხა; მაგრამ როდესაც დამ მისცა წასა-
კითხათ წიგნიდან უცხო ადგილი მან ძლიერ-ძლიოზით გაარჩია ასოე-
ბი. მაშინ ჟილბერტამ დაიწყო ლექსების კითხვა და პატარა იმეო-
რებდა სიტყვა სიტყვით.

— რა შეენიერი ლექსია! უსათუოთ კითხვას ვისწავლი რომ
მე თითონ წავიკითხო ხოლმე.

ამ დღიდან ჭაკელინა ყოველ დღე თხოვდა თავის დას მასწავ-
ლეო და ერთ თვეზე კიდევ ისწავლა ხეირიანათ კითხვა, სულ ლექ-
სებზე ელაპარაკებოდა; ზეპირათ სწავლობდა და ბოლოს დაიწყო ლექ-
სების შეთხზვა.

— დედაჩემი ამბობს, უთხრა ერთხელ მარგარიტა სენტომ,
ლექსების წერისთვის, ისე როგორც მართლ წერისთვის, საჭიროა
წესის ცოდნაო.

სენტოს ოჯახში მუდამ გროვებოდნენ მაშინდელი ფრანგების
მწერლები და ნასწავლი ხალხი; გამოჩენილი პოეტები კორნელი და
ეოტური ხშირათ ხედავდნენ პატარა ჭაკელინა პასკალს და სიამოვნე-
ბით ელაპარაკებოდნენ ჰკვიან, ცოცხალ ბავშს. ჭაკელინაც აღტაცე-
ბაში მოდიოდა, როდესაც ისინი კითხულობდნენ თავიანთ თხზულე-
ბებს, ისა და მისი ორი მეგობარი, სახლის პატრონის ქალები,
მიჯდობოდნენ სასტუმრო ოთახის კუჩქულში და გაფაციცებით ყურს



უგდებდენ. თითონ ჟაკელინასაც ძალიან უნდოდა კარგი ლექსები შეეთხზა, მაგრამ ლექსების მოწყობის წესები არ იცოდა.

— მე ჩემ ძმას, ბლევს, ვკითხავ, იმან ბევრი რამ იცის და ის მასწავლის, მოაფიქრა ბოლოს ჟაკელინამ, მაგრამ ბლევს ლექსები თვალში არაფრათ მოსდიოდა და არც იცოდა მისი წერის წესი.

— დიდხანია შენ დედოფალებითვის იგონებ სიმღერებს, სხვა რა ლექსები გინდა? უთხრა ძმამ.

— ეგ სულ სხვა... მე მინდა ისეთი კაი ლექსები დაეწერო, როგორც კორნელი და ვოტური წერენ.

ერთხელ ვახშმის წინ პასკალი მუშაობდა თავის საწერ ოთახში, ოთახის კარი ნელა-ნელა გააღეს და-ძმამ.

— რა გინდათ, შეიღებო, სიყვარულით ჰკითხა მამამ.

ჟაკელინა ასკუბდა მამის კალთაში და ალერსით უთხრა:

— მამილო, შენ უნდა ასწავლო ბლევს მათემატიკა და მე ლექსების წერა.

მაშინ მამა მიუბრუნდა ბლევს და უთხრა:

— მე შენ ხომ გითხარი, შეიღო, რომ ჯერ ბერძნული და ლათინური უნდა ისწავლო. როდესაც ამ ენებზე დაწერილ თხზულებებს კარგა გაიგებ, მაშინ დაგაწყებინებ გეომეტრიის სწავლას.

— გეომეტრია რა არი? ჰკითხა ჟაკელინამ, — ბლევზი დღე და ღამ მაგაზე ლაპარაკობს; — და შეაჩერდა თავის ძმას. იმან ხმა არ ამოიღო, თავი ჩალუნა და გავიდა ოთახიდან. ჟაკელინა მარტო დარჩა მამასთან, მოეხვია კისერზე და უთხრა:

— მამილო, მითხარი როგორ უნდა ლექსის წერა!

— რაში მოგინდა მაკისი ცოდნა, ჩემო გოგონავ? ჰკითხა მამამ ღიმილით.

— მე მინდა დაეწერო ლექსები ისე, როგორც ბატონი კორნელი და ვოტური წერენ. ჩემი მეგობრები: მარგალიტაც და ევგენიც აპირებენ ლექსების წერას.

ქართული
საბჭოთაო

პასკალი სიცილით ყურს უგდებდა. რვა წლის ქაკელინა, თავის ხანზე პატარათა ჩნდა, რადგან დაბალი ტანისა და სუსტი ბავში იყო. მამამ ხუმრობით დაუწყო ლექსების წესის სწავლება, ქაკელინა დიდი ყურადღებით უსმენდა; მისი დიდრონი მუქი თვალები ბრჭყიალებდა და სანამ მამა ლაპარაკობდა ის ხმა ამოუღებელი იჯდა. როდესაც პასკალმა გაათავა ლაპარაკი, ყმაწვილმა დაფიქრებით წამოიძახა:

— შენ უსათუოთ ყველაფერს არ მეტყვი. მარგარიტამ მითხრა, რომ გრამატიკისათვის ძნელია და ბევრი ასახსნელიაო.

— შენ ისეთი პატარა ხარ, რომ ამასაც ვერ დაიხსომებ.

— არა, მამილო, მე ყველა კიდევ დაეიხსომე! მგონია რომ ახლა ლექსებსაც დაწერ. და ქაკელინა მხიარულათ გაიქცა დასთან, რომ ეთქვა როგორ ისწავლა კიდევ ლექსების წერა და მალე ისეთსავე ლექსებს დასწერს, როგორსაც წერს პოეტი კორნელი.

მეორე დილასვე, საუზმის დროს, ქაკელინამ წაუჩუჩრჩულა ძმას, რომ ლექსები კიდევ დასწერა.

— წამო ბაღში, იქ გეტყვი.

ორივენი გაიქცენ ბაღის ერთ კუნჭულში და ქაკელინამ, რომელიც აღეღებით სულს ძლივს იბრუნებდა დაიწყო ლექსის კითხვა. ბლენი ყურადღებით უსმენდა.

— ცოტა მოიცადე, უთხრა ძმამ და ჯიბიდან ამოიღო ქალაღი და კარანდაში,—დაესხდეთ სადმე, შენი ლექსები უნდა დაწერო.

— რათ გინდა? მე უმაგისოთაც მახსოვს.

— შენი პაწია ქალები მოინდომებენ წაკითხვას. უთხრა ბლენმა, და ქაკელინა დაეთანხმა, ის ნელა-ნელა ამობოდა და ძმა წერდა.

— როგორ მეწყინა, რომ მამამ მათემატიკა არ გასწავლა, უთხრა ქაკელინამ, სახლში რომ ბრუნდებოდენ.—განა ძალიან გინდოდა მისი ცოდნა?

ბავშს თვალებმა გაუელვა.



— მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ, მამა წყრება. მერე ერთბა-
 შათ გაიქცა და მიაძახა დას:—აბა, დამიჭირე!

ქაკელინა შურდულივით გამოუდგა ძმას, კინალამ წააქციეს.
 აბატი დიურანი, რომელიც ამ დროს შედიოდა სახლში.

ამ დღიდან ქაკელინი და მისი მეგობრები სულ ლექსების შე-
 თხზვაში ატარებდნენ დროს. ბლევს უნდა ყოველთვის ეწერა დის
 ლექსები, რადგან შემთხზავმა არ იცოდა წერა, ყმაწვილს ისე მოს-
 წონდა ეს ლექსები, რომ სიამოვნებათ წერდა, მაგრამ ხშირათ თი-
 თონ იმდენი გაკვეთილი ჰქონდა და ბევრი სასწავლებელი, რომ დროს
 ვერ პოულობდა.

— ასწავლე დაიას კითხვა, უთხრა მან ერთხელ ჟილბერტას,
 —თორემ თავისი ლექსები ვერ დაუწერია.

ჟილბერტამ ღიმილით შეწედა თავის დას.

— კარგი, ვასწავლი, მხოლოდ როდესაც დაებრუნდები მოგ-
 ზაურობიდან.

— სად მიდიხარ? დიდი ხნით? რათა? შეპყვირა ქაკელინამ და
 დის გვერდით დაეშვა მუხლებზე.

ჟილბერტამ ალერსით ხელი გადაუსვა თავზე.

— მამა მიდის კლერმანში, საქმეები აქვს და მეც მივყავარ.
 ერთ ან ორ თვეს ვიქნებით, მეტს არა.

— ერთი ან ორი თვეო, ეგ ძალიან დიდი ხანია!—გაკვირვე-
 ბით თქვა ქაკელინამ და თვალეებზე ცრემლი მოუყიდა.

— მერე უშენოთ როგორ დაერჩებით აქა?

— შერ სენტოს ცოლი წაგიყვანს თავისთან, ბლევზი კი დარ-
 ჩება აქ აბატთან ერთათ, უთხრა ჟილბერტამ და დაია ჩაიკრა
 გულში—მე ვნახავ იქ აღრინდელ მეგობრებს და დედის საფლავსაც,
 ჩუმათ დაუმატა მანვე. ქაკელინა ქვითინებდა ჟილბერტას კაბის კალ-
 თაში მიმალული.

— უშენოთ როგორ გაეძლებ! ტირილით ეუბნებოდა ის.

— გეყოფა ტირილი! ნუ აწუხებ დას. უთხრა ძმამ; — არა ხე-
დავ, რომ ჭილბერტას უნდა კლერმონში წასვლა. შენ შეგიძლია
მთელი დღეობით შენ მეგობრებთან ერთად წერო ლექსები, მე კი
ბევრი რომ მაქვს გასაკეთებელი.

ქაკელინამ თავი მალლა აიღო და თქვა:

— მე, მარგარიტა და ევგენი ერთად დავწერთ კომედიას.

— ქაკელინას დატოვება ძნელი იქნება, ჩემთან შეჩვეულია,
პატარაც არის, უთხრა ჭილბერტამ მამას, როდესაც და-ძმა წავიდნ
დასაძინებლათ.

— დამშვიდდი, არა უმავს რა, უპასუხა ღიმილით მამამ და
ალერსით შუბლში აკოცა საყვარელ შვილს, რომელიც ასეთ დე-
დობრივ მზრუნველობას უწევდა თავის და-ძმას.

(დასასრული იქნება).



ძმის მკვლელი.



ძმისადმი შტრობით აღესილი,
 გონებით დახვედრული,
 დაბოდა კენ მხეცივით,
 გულ-ბრძნი, გაშმაგებული,
 აღარ იცოდა, რა კენა,
 მის გულს უღრღნიდა შუკრია...
 განკრდა, მაცდურის ხმისა
 ბედმაჟმა უგლო უშრია. —
 „მოჭკალი, მოჭკალ, ჩასძახდა:
 ამოიყარე ჟაჟრია
 და მე დაგიცავ, ვიქნები
 სულ შენი თანამგზავრია“.
 გაენს იამა სიტუვები,
 გამოასილა თვალები.
 ის თითქოს მოჩხა, სენისგან
 დიდი ხნით განაწვალები.
 — ძმაო, აბელო, წამოდი,
 გავისეინროთ კელათო
 და დავტკბეთ ნაზი ბენებით
 ჩვენ რომ გვიზურია სელათო*.
 წყნარი აბელი დათანხმდა:
 — ძმაგ, კარგათ გინებებია, —
 და ტკბილი ლამაზაკითა
 გზისა გაუდგენ ძმებია.
 გაენს ხმა ესმის ზეციდან:
 *პატი რათ გიჯეგს მხარზეო?

ფრთხილათ იყავი, ფრთხილათა —
 ცოდვა გადგია კარზეო!“
 კაენს ხმა ესმის მცდურის:
 „დროი გაქვს, რას უყურებო?
 რათ არ სარგებლობ და მიწას
 ძმის სისხლით არ აზკურებო?“
 და უბედური კაენი
 სატანამ გადაიყოლია;
 ძმის სისხლის დაღვრის ფიქრები
 კაენს გულს შემოაწოლია;
 და რაღა ძმები გაგიდენ
 განმარტოვებულ ველშია,
 დაბნელებულმა კაენმა
 კეტი მოიგდო ხელშია,
 ძმის თავში დაჭკრა, გაუბო,
 გადაუჩეხა რანათა,
 საბრალე ახელ ძმის ხელით
 შეიქნა მიწის სწორათა!
 ამ სახით კაცმა შირველათ
 ძმის სისხლით მოწყეო ველია
 და ქვეყანაზე განშირდა
 კაცის კვლა — ცოდვა ბნელია.

დ. თამაშვილი.





ბ უ.

(ჩუხუღიდან).

მეუბი ერთი ზატარა ქონი იდგა, რომელშიაც ცხო-
 ვრებდა ტუის დარაჯი ცოლით და ზატარა ქალით. შუა
 ზამთარი იყო, თოვლი, წვიმა და ქარი, ერთმანეთში არე-
 ული, სასარლათ ტრიბლებდა. დარაჯი მიჯდომოდა ბუ-
 ხარს და სველ წინდებს იშრობდა; ცოლი და ქალი მატუელს
 ართავდენ. დადაძდა. ტეუბი სრულიად დაბნეულა. დარაჯმა
 ფანჯრებს ფარდები ჩამოაფარა და სანთელი აანთო. ქონ-
 ში კარგი სითბო დატრიბლდა და დარაჯი თავის ცოლ-
 ძვილით ვახშმის ჭამას შეუდგა, საშინელმა ქარმა ბუნრის
 ტრუბიდან სასარლათ დაუბერა და კარებს ჭრანჭა-ჭრუჭი და-

წებინა — და რომელიც ფანჯარა კარებთან ახლოს იყო, იმის ფარდა ააფრიალა.

— რა სამაკელი დარია! წარმოიქვა დარაჯმა.

უცებ ფანჯარა ვიღამაც დონივრით დააკაკუნა. შენიძნეს რომ ფანჯარასთან რაღაც ინძრეოდა და თან მოისმოდა ხან სიცილი და ხან რაღაც ნაირი ხმა ღუ, ღუ, ღუ. დარაჯის ცოლი და ქალი შიშისაგან აკანკალდენ და პირჯვრის წერით ბუტბუტებდენ: — ჯვარო ზატოცხანო, შენ იუაგ ჩვენი მფარველიო.

დარაჯმა არაფერი არა თქვა; ჩამოიღო კედლიდან თოფი და კარეთ კავიდა. ისეთი სიბნელე იყო რომ კაცი ვერაფერს არჩევდა. დიდხანს იყო დარაჯი ერთ ადგილს განხერხებული, ესმოდა რომ ახლო რაღაც ფანჯრობდა, რაღასაც აკაკუნებდა, ხან და ხან ხარხარებდა, მაგრამ ხედვით მაინც ვერაფერს ხედავდა. ამ დროს ღრუბელსა და ღრუბელს შუა მთვარემ ერთი წუთით გამოაშუქა და დარაჯმა თავის გვერდით დიდი ეომრადი ბუკი დანახა! რასაკვირველია, მისთვის თოფი არ უსწრილია და გულდამშვიდებული შემობრუნდა სახლში. მისი ცოლი და ქალი ისხდენ შიშისაგან გაფითრებული, ვახშმის ჭამაზე არც კი ფიქრობდენ.

— რატომ ვახშამს არა ჭამთ? — ჰკითხა მათ დარაჯმა შემოსვლის დროს.

— ძალიან გვეძინია — უზახუნეს მათ.

საგოგლოსათვის თახდადებულნი.

(გუძღნი დათიკო ღომინაძეს)



აბერძნეთი ძველათ რამდენიმე სახელმწიფოთ და-
 იყოფებოდა. თვითოეულ სახელმწიფოს თავისი
 წეს-ჩივი, თავისი მართელობა ჰქონდა. თუმცა
 საბერძნეთი სხვა და სხვა სახელმწიფოებისაგან
 შედგებოდა, მაგრამ ამის და მიუხედავათ
 თვითოეული ბერძენი მთელ საბერძნეთს თავის
 სამშობლოთ თვლიდა. როცა მტერი კარს
 ადგათ, თვითოეული ბერძენი უშიშრათ გამო-
 დიოდა ბრძოლის ველზე და იარაღით ხელში

მტერს მედგრათ ეხებოდა.

ქრისტეს დაბადებამდის, მეხუთე საუკუნეში, სპარსეთის მბრძა-
 ნებელმა კსერკსმა განიძრახა საბერძნეთის აოხრება. ურიცხვი სპარ-
 სელების ჯარი თერმოპილის ხეობას მიაწყდა. ამ ხეობაზე გადიოდა
 ვიწრო ბილიკი, რომელიც პირდაპირ შუაგულ საბერძნეთისაკენ მიი-
 მართებოდა. ბილიკის ერთი მხრივ ეტის მთის პიტალო უზარმაზარი
 კლდეები აღიმართებოდენ, ხოლო მეორე მხრივ კი თვალუწვდენე-
 ლი ზღვის სივრცე გადაჭიმულიყო. ამ ბილიკის ველში დაბინავდა,
 სპარტას მეფე ლეონიდი თავისი სამასი მეომარით. კსერკსს სიცილა-
 თაც არ ეყო, როცა გაიგო, რომ ერთი მუჟა ბერძნებთა რაზმი
 ომის გამოცხადებას ჰგედადა სპარსელების უთვალავ ჯართან. კსერ-
 კსმა შუაკაცები გაუგზავნა ლეონიდს, დამნებდი, იარაღი გადმომე-
 ციო. ლეონიდმა უპასუხა: „მობრძანდი და მიირთვი“ო. შუაკაცებმა
 ბერძნებს გადასცეს: მტრებთა რიცხვი იმოდენია, რომ მათ ისრებს
 შეუძლიათ მზის სხივება დააბნელონო. „მით უკეთესი“, უპასუხა
 ერთმა ბერძენმა „მაშინ ჩვენ ჩრდილში ვიომებთ“ო.

თვითოვეულ ბერძენს გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი სიცოცხლე სამშობლოს დაცვისათვის ენაცვალებინა. თვითოვეულ მეომარს ყურში სამშობლოს სიყვარული დედის ნანინასავით ჩასჩურჩულებდა სპარტანელის დედის ოდესღაც გმირულ ნათქვამ სიტყვებს: „ხმლით ხელში, ან ხმაღზე აგვრული, ხოლო დამარცხებული კი არასოდეს“ ოდილ, სპარტანელი დედა, როცა იგი შეიღოს სამხრათ ისტუმრებდა ხოლმე, პირდაპირ ავალებდა მას, შეიღო, გაიმარჯვე მტერზე, თუ არა თავი შეაკალი, ხოლო დამარცხებული ნურასოდეს ნუ დამიბრუნდებიო. „შვილებს ეს სიტყვები ჭეშმარიტათ რწამდათ და ამიტომაც იყო, რომ სამასი ბერძენთა მეომარი უშიშრათ შებრძოლებას უპირებდა თერმოპილის ხეობაში სპარსელების უთვალავ ჯარს.

კსერქსს კიდევ არა სჯეროდა, თუ ლეონიდი მართლათაც ასე მტორე ჯარით მასთან გამოილაშქრებდა. ოთხი დღე, მახლობლათ დაბანაკებული, კიდევ იმედს არა ჰკარგავდა, ლეონიდი თავისი მეომრებით უომოთ დანებდებოა. მაგრამ არა, ლეონიდს საბოლოოთ გადაწყვეტილი ჰქონდა; სიკვდილი ან და სახელოვანათ მტრებზე გამარჯვება.

ომის წინაღამეს ბერძნები ისე ემზადებოდენ, თითქო რომელიმე ბედნიერ დღეს მოელიანო.

დილის ნიაემა თერმოპილის ხეობას ერთი ორჯელ სამურათ დაქროლა, როცა სპარსელთა ურიცხვი ჯარი თავს დაეცა ბერძნების რაზმს; ატყდა საზარელი ომი. ბერძნებთა რაზმმა ბაწარსავით გადალობა თერმოპილის ვიწრო ყელი და მტერს ერთიანათ გზა შეუკრა. ერთი მხრივ ზღვა, მეორე მხრივ ეტის ციკაბო უზარმაზარი კლდეები და შუაში ერთი მეორეზე გადარაზმული, ვრძელი ისრებით და გატიტვლებული ხმლებით, ბერძნები სწორეთ რომ საშიშ სუტათს წარმოადგენდენ სპარსელებისათვის.

სპარსელების ჯარი ზღვის ტალღებით გაბრაზებით ეჯახებოდა ბერძნების თავგანწირულ რაზმს, მაგრამ როგორც კლდიან ზღვის



ნაპირებს ტალღები ევრას აკლებენ, ისე სპარსელების ჯარი ბერძენებისას ევრას აკლებდა. ბერძენების გრძელი ისრები შეუბრალებლათ გმირადენ სპარსელ მეომართ. მთავარ სარდალის, მეფე ლეონიდის, ბასრი ხმალი საშიშრათ ელვარებდა. გამხნევებული თვისი წინამძღოლის მაგალითით ბერძენთა მამაცი გუნდი იერიშით მიდიოდა მტერზე. სპარსეთის მბრძანებელი თვისი თვლით დასცქეროდა უთვალავი ჯარის განადგურებას. როცა საქმე ძალზე გაჭირდა, კსერქსმა თვისი „უკვდავი ღრუყინა“-ც წამოაყენა ბრძოლის ველზე, მაგრამ ბერძენების რაზმის ზურგის ქცევა შეუძლებელი კახდა. მთელი დღე ომი არ შეწყვეტილა. თერმოპოლის ვიწრო ხეობა სპარსელების უსულო გვამებითა ივსო.

დალამდა. შეწყდა ომი. სპარსთა და ბერძენთა მეომარნი შორს შორს დაბანაკდნ.

გათენდა. მზის სხივებმა ერთი ცელქათ შეითამაშა ეტის ციცაბო კლდიან მწვერვალოებზე, როცა ბერძენებმა ხმლებს და ისრებს ხელი მოაღვლეს. მაგრამ, დახე უბედურებას, ამ დილას ბერძენების რაზმი უკვე ორივე მხრივე სპარსელებთა ჯარით შემოზღუდულიყო. ერთ თავზე ხელ აღებულ მეომართაგანს, სახელდობ ეფიალტეს, მტრისათვის ეტის მთაგრეხილზე სხვა გზა-ბილიკი ეჩვენებინა და ერთი ნაწილი სპარსელების უთვალავი ჯარისა საბერძენთის მხრივე გადმოვლოლა. ამნაირათ ბერძენების პატარა რაზმი სპარსელების შუაგულში მოექცა. წინ წასვლა შეუძლებელი იყო, უკანაც დაბრუნება არ ხერხდებოდა. ატყდა საზარელი ომი, მაგრამ სამასიოდღე მეომარი ორსავე მხარეს გზა შეზღუდული რაღას გახდებოდა. მოპირდაპირე მხარეთა ხმალთა და ისართა ტრიალი, დაკრილებთა საცოდავი გმინვა მართლაც რომ საშინელ სურათს წარმოადგენდა. ბერძენთა მეომარნი თავდავიწყებით მტრებს მდგრათ უმკლავდებოდნ, მაგრამ როცა მათი მთავარსარდალი მტრის ბასრი მანვილით განგმიარული უსულოთ ძირს დაეცა, მაშინ თვით ბერძენების ბედ-იღბალი




საბოლოოთ გადაწყდა. თითოეული მათგანი ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს სპარსელების შეუბრალებელმა ბასრმა ხმლებმა.

ასე უბედურათ დაბოლოვდა ბერძნების თავგანწირული გმირობა სამშობლოს დაცვისათვის ერთი ღეთის და კაცისაგან დაგმობილი პირის წყალობით.

იმ ადგილას, სადაც ლეონიდი სამასი ერთგული მეომრებით სამშობლოს მტერს უკანასკნელ ამოკენესამდის ხმლით ხელში ეომებოდა, ბერძნებმა შემდეგში ააგეს დიდი ძეგლი, რომელზედაც გამეღელ-გამომღელედი, თვალეში ცრემლებ მორეული, კითხულობდა: „მოგზაურო, ამცნე სპარტას, რომ ჩვენ აქ, სამშობლოს ერთგულობისათვის, ჩაეთაღით ჩვენი ძეგლები“.

შელაგიაშვილი.



საკვირველებანი ბუნებისა.

№ I*)

ჭუნაკო (Auchenia huanaco).



ვარონობით ეს ცხოველი აქლემის მოღვ-
მისაა და მას ენათესავენ, თუმცა კი გარ-
რეგნობით საიძისა არაფერი მსგავსება
აქვთ ერთმანეთში. აქვს იმასაც გრძელი
კისერი და მალალი ფეხები, სოლო არა
აქვს აქლემსავით. კუსი და ტანითაც ბევრათ

იმასე მოჩნდება. სიგრძით მამალი ჭუნაკო ერთი სე-
ყენი იქნება, სიმაღლით მხრებთან — ნახევარ სეყენზე ცო-
ტა მეტი. ბალანი რბილი აქვს ცხვრის მატყელსავით, სძი-
რი მასთან, მრეში ფერისა. თავი აქვს ღამაში მოყვანი-
ლობისა, ყურები მოგრძო და თავისი მედიდურისა და თან
სასიამოვნო სანახაობით უფრო ჯეირანს მოავონებს კაცს,
ვიდრე თავის კუსიან ნათესავს, ეოვლად უძნო და ულა-
ხათო აქლემს.

ჭუნაკო გარეული ცხოველია; არის თუმცა შიგა-და
შიგ მოძინაურებულიც, მაგრამ დავანებოთ თავი ამათ, ამ
კაცის მონობით დამახინჯებულებს, არა ღირს იმათზე

*) ამ ნომრიდან დაიწყება ამავე სასოკადო სათაურით — „საკვირვე-
ლებანი ბუნებისა“ ცხოველთა შორის.

ლანარაკი. უეგარს ფარა-ფარათ ცხოვრება: სძირათ შესუდებ-
 კაცი ჭუნაკოს ასობით, ხანდისხან ათასობითაც. არ
 არის სასოგადოთ საჭმლის წუნია, არ იცის ძალიან არ-
 ჩევანში შესულა ამ მხრივ და ბედნიერთა ცხოვრობს ისეთ
 ხრიოკ კლდეებშიაც, სადაც ვერ იხეიროებს თითქმის ვერც
 ერთი სხვა ოთხფეხი ცხოველი. ამჯობინებს უფრო მთა-
 კლდეებში ეოფნას, მაგრამ როდესაც იქ სამოვარი ილევა,
 ავდრები იწეება და სათოვლეთ ემსადება, მაშინ ისიც
 ბარში ეშვება.

ადმიხანს ნადრობა მათზე ძლიერ უეგარს მათი გემ-
 რიელი ხორცისათვის და ჩინებული მატყლისათვის. ამი-
 სათვის ჭუნაკოც გაფრთხილებულია სასოგადოთ ეოვე-
 ლივე თავის მოქმედების დროს. — როდესაც ჭუნაკოს ფა-
 რა მოვს, მაშინ ერთი მათგანი, უფრო სძირათ კი ბოტი
 (ბელადი) ფეხზედა დგას და უარაულობს თავის ფარას.
 თუ კაიგო მან ამ დროს, ან შეამჩნია საშიში რამ, მოჭ-
 ევება მაღალ ხმით როეინს; საჩქაროთ მთელი ფარა ანებებს
 ჭამას თავს, წაიგრძელეებენ წინ კისრებს და გარბიან. წინ
 მირბის ეოველთვის ბელადი, უკან მისდევენ მას დედლე-
 ბი და წვრილ-ფეხობა და სულ ბოლოს ძამალი ჭუნა-
 კოები. თუ, ვინიცობაა, დედლები და წვრილ-ფეხობა-
 სრული სიჩქარით არ გარბიან, მაშინ უკან მიმდგვი ძამ-
 ლები დაუწეებენ თავის ცემას და აჩქარებენ მთელ ფარას.
 საკვირველი ცნობის მოყვარეობა სჭირთ ამ ცხოვე-

ლებს: რაც უნდა ეჩქარებოდეთ და საშიშ საქმეს გაურბოდენ, მაინც ადვილ ადვილ განერდება მთელი ფარბა და ათვალერებს თავის მდევნელ მტერს, მაგრამ ისე ახლო კი არასოდეს არ მიუშვებს, რომ მტერმა მას ავნოს. სირბილი მარდი იციან ძალიან, კაი ცხენიანი კაცი დაეწევა ჭუნახკოს და ძალი კი იშვიათ შემთხვევაში. უფრო უკეთესათ არბის ჭუნახკო, თუ მთა კლდეები აქვს ასარბენი, ისე გადადის კლდიდან კლდეზე, როგორც კარგი ჯეირანი, როგორც ქურციკი და თან დაუდევნელათ ჩაიურება იმ კლდეების ღელებში და ღრანტეებში.

სანახვე ადგილი ერთი, საზოგადო იციან და ეველანი იქ გადიან, ხოლო როდესაც ძლიერ დიდი და ძალალი გაიზრდება, გადინაცვლებენ, იმას მიატოვებენ და მისსავე ახლო მეორეს დაიწეებენ.

თავის დაცვაც მომეტებულ შემთხვევაში სულ სხვანაირი იციან, რომ შეამჩნევს იმისთანა მტერს ჭუნახკო როდია გაეცევა, — მიუშვებს ახლოს, დაჭლურსავს ეურებს, მიღებს მეტათ განრისხებულ გამომეტეველებას და საძინელი ღონით შეაფურთხებს თავის მტერს. შესაფურთხებლათ მზათა აქვს ყოველთვის ნამდვილი ფურთხი ანუ ნერწვევი, მაგრამ ის მარტო ამას არ აკმაყოფილებს; თუ აქვს იმ დროს ზარში ახლათ მოძოვილი ბალახი, იმას დაანერწვიანებს და ისე ესვრის და თუ ისიც არ შეესწრო იმ



დროს, ხელათ ამოიბრუნებს ჰირში ფაშვიდან ჩაჭამს და თხლეძს თავის მოწინააღმდეგეს. საკვირველია მასთან თუ რანაირათ მარჯვეთ იცის მიტყუება ფურთხისა.


ერთი კიდევ ვეელახე უფრო ახირებული სხვა თვისება სჭირს ჭუნანაკოს და სწორეთ ამ თვისებით არის ის ვეელახე შესანიშნავი. — სადაც უნდა იეოს, რა მანძილაც უნდა ჭქონდეს გასავლელი, რაკი ერთი იგრძნობს სიკვდილის მოასლოვებას, დაჭლუნავს თავს და მიდის, მიდის და მიდის, ვიდრე არ მიაწევს ჭუნანაკობის სასოგადო სამარხ ადგილს, რომ იმანაც უსათუოთ იქ დაუტეოს თავისი სიცოცხლე, იქ ჩაჭყაროს თავისი ძეგლები. ვერაფერი ვერ შეაფერხებს მას ამ მოკსაურობაში: კლდედრე, შიშხილ-წუურვილი თუ მტრის შიში მისთვის იმ დროს არაფერია. ეს, მათი სასოგადო სამარხი ადგილი იმავე სამხრეთ ამერიკაშია, ჰატაკონიის სამხრეთ ნაწილში, მდინარე სანტა-კრუცისა და კალეკოსის დედეები. დედეები დაბურულია მუდამ დაბალ ჭალებით და აი, ეს ჭალები ჰირთამდის და თვით მდინარის კიდევები საუხეა თავით ბოლომდე ჭუნანაკოს ძეგლებით. ვინ იცის რამდენი თაობაა ამოკლექილი აქ ამ დედეებში, ამ მდინარეთა კიდევებზე!


სწორეთ რომ საკვირველია ამ გვარი ჩვეულება ჰირუტევისა. არც ერთ სხვა ცხოველს არა აქვს ასეთი და ამის მაგვარი რამ სხვა ალღო (ინსტინქტი). რისგან წარ-



მოდგა ზირველათ ასეთი ჩვეულობა ჭუნაკოსი? ვინაჲს
 გან დანამდვილებით ჯერ მნელი ასახსნელია, დავანებოთ
 ანლა ჩვენც თავი, მაგრამ ნუ დავივიწყებთ კი, ეკებ ერთ-
 ხელ როდისმე ჩვენც შევძლოთ მისი მიზეზის გამოცნობა.

დადა აღნიშვიდი.





ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო გ ა ს ს ა რ თ ო ბ ი

№ II.

ეს არის დახატული თეთრი და შავი წრეები ერთი მეორის მოყოლებით. აიღე ეს ნახატი, დაიღე ხელზე და გაუნძრევლათ გასწიე ხელს მარჯვნივ ან მარცხნივ ცოტა მოჩქარებით. უეურო შენც ამ წრეების ქანებას, მხოლოდ ზედ წრეებს-კი ნუ დააშტერებ თვალებს: გაახერე თვალი ან შიკ, იმ წრეების შუაგულში ან იქვე, გვერდზე რამე წერტილზე. მაშინ ეს წრეები შენ თვალში დაიწყებს ეგვლს თავის გარემქმო ტრიალს: თუ მარჯვნივ მიგაქვს ხელი, წრეებიც მარჯვნივ იტრიალებენ, თუ მარცხნივ—წრეებიც მარცხნივ შემოტრიალდება.

უკეთესათ გამოჩნდება წრეების ტრიალი, თუ თითონ ნახატს დაატრიალებ და თუ ეს ისე კარგა ვერ მოახერხო ზირველ შემთხვევაში, მაშინ დაიჭირე ხელში ეს ნახატი ისევ ისე უნძრევლათ და შენ თითონ შემოტრიალდი ერთსა და იმავე ადგილზე.

ბორა.



მოუფიქრებელი მონადირე.

~ * ~ * ~



უჩინარში თოფით შეიარაღებულმა მონადირემ დიდ ხანს ეძება კურდღელი, მაგრამ არ იქნა, ვერ შესვდა. სიარულით რომ მოიღალა, თოფი მხარზე შეიღო და დაღონებულმა გასწია მინისაკენ. გზაზე ძელია შემოეუარა, რომელსაც ის იყო კურდღელი დაეჭირა და შეჭმას უპირებდა.

— დობილო ძელიაჲ, მიუბრუნდა მონადირე: სიკეთე მიუაჲ, სირცხვილს მომარჩინე, სასლში ცარიულს ნუ დამბრუნებ, ვც კურდღელი მე დამითმე და სამაგიეროთ, რაც კინდა, დამაზაღო.

ძელიამ ზასუსის მაგიერათ ცალ-უბოვ შემოსედა მონადირეს, ზირში ნაჭერ კურდღელს ბასრი კბილები უფრო

მაგრამ გაუყარა, ცუნცულით გზას გადაუხვია და ბუჩქებში მიიმალა.

დარჩა მონადირე ზირში ჩალა გამოვლებული. მას მალე ნაცნობი შეპოყვარა.


— გამარჯობა, მონადირე, რა ამბავია, სახლში ცარიელი რათ მიდინარო? ჭკითხა ნაცნობმა.

— რა ვქნა, მიუგო მონადირემ: მთელი დღე ხეობით მოვიღალე, მოვიქანცე, კურდღლის კვალსაც ვერ მივაგენ. მხოლოდ ამ წამს შევხვარა, ზირში კურდღელი ეგავა. ბევრი ვეხვეწე, ქრთამიც ვაძლიე, რომ კურდღელი ჩემთვის დაეთმო და იმან შედაც არ შემომხედია.

— მამა ვაცსონე იმისი და დედა, მიუგო ნაცნობმა: შე კაი კაცო, ხეწინისა და ვედრების მაგივრათ შელასთვის რომ თოფი გესროლა, ხომ ბარგიც შენ დაგრჩებოდა შებარგულეცაო.

— ოჰ, შენ ჩემო თავო! წუენით წარმოთქვა მონადირემ: რა იღბალი იქნებოდა, ეგ რჩევა ჩემთვის ცოტა წინეთ მოგეცაო.

ალ. მ — შვილი.



ამერიკელი ბავში, ანდრია მური.

თ ა რ გ მ ა ნ ი.



ანდრია მური სოფლის ბავში იყო, სადი, მაკარი, ჭორფლიანი; ხან ქედით დადიოდა, ხან თავშიშველად. ის დიდათ არ ზრუნავდა თავის ყოფა-ქცევაზე და უკეთ იცოდა ციუკების და ჩიტების ბუდეები ტყეში, ვიდრე განათლებულ სასოგადოებაში თავის დაკავება. ენდი (ანდრია) ცხოვრობდა ტალახისა და ბოძებისაგან გაკეთებულ ღარიბ ქოხში, რომელსაც არც ფანჯრის ჩარჩოები ჰქონდა და არც მინები. ამ ქოხის მახლობლათ რკინის გზის ლიანდაგი იყო გაუგანილი. ბავში სშირათ ხედავდა მავ ორთქლმავალებს, როდესაც ისინი ხვნეშით გაუვლიდნ სოლმე წინ და უშვებდნ ორთქლის და ბოლის ღრუბლებს. ერთხელ ენდი ლიანდაგზე გადადიოდა და დაინახა, რომ ლიანდაგი წამსდარიყო; მას ძალიან ცოტათ ესმოდა რკინის გზის მოწყობილობა, მაგრამ ბევრჯელ გაეგონა რა უბედურება ხდებოდა სოლმე, როცა ლიანდაგი წამსდარია; ამ დროს ბავშიმ გაიგონა ხმაურობა მოახლოვებული მატარებლისა და გადაწვიტა, რაც უნდა ეოფილიყო, გაეჩერებინა იგი. ენდის ერთ წამსაც არ უფიქრია თავის თავზე; ის დადგასწორეთ მუხში ლიანდაგზე და გაიშვირა წინ ხელები. მატარებელი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ბავშვს; მა-



ქართული
ენის ინსტიტუტი

შინისტმა დაინახა ენდი და დაუძტვინა, მაგრამ ეს დი ად-
გილიდან არ დაიძრა; კიდევ დაუძტვინა, მაგრამ ბავში ისე
იდგა, თითქო გაქვავებულიყო. მაშინისტმა გააჩერა მატარ-
ებელი, ჩამოხტა ორთქლმავალიდან და ენდისთან მიიბ-
რინა! მატარებელს კიდევ დაგვიანებოდა და მაშინისტი მა-
ლიან გაჯავრებული იყო ამ ახალ გაჩერებისათვის. მაგ-
რამ, როცა დაინახა, რომ ბავშვის უშიშრობამ მატარებლით
მიმავალი ხალხი დაღუპვას გადაარჩინა, მისი რისხვა სი-
ხარულათ შეიცვალა. ხალხიც გამოვიდა ვაკონებიდან, ევე-
ლას უნდოდა გაეგო მიზეზი გაჩერებისა და გაიგეს,
ენდის რომ თავისი თავი განწირულებით მატარებელი არ
გაეჩერებინა, ის ჩამოვიდოდა ლიანდაგიდან და უერდოებზე
ჩასწიალდებოდა უფსკრულშიო. ქალები ჰკოცნიდნენ მზისა-
კან გაძავებულ სოფლის ბავშს, კაცები სიამოვნებით შეჭ-
უურებდნენ თავის ცოლშვილს, რომლებიც უბედურებას ახ-
ცდნენ; და ამბობდნენ: დიქრთი დალოცავს ამ ბავშსო. იმათ
ამოიღეს ქისები, მოაკროვეს ბევრი ფული და ამით გა-
დუსადეს მადლობა ბავშს.

თუთსმეტი წელიწადი გავიდა მას აქეთ; ენდი ახლა
მაშინისტათ მსახურებს იმავე რკინის გზაზე. სიმაჩუგვე,
მსნეობა და ვაჟ-კაცობა, რომელიც მასში ბავშობაში ეო-
ველ ადამიანს აკვირვებდა — ახლაც მისი ხასიათის უძთავ-
რეს თვისებებს შეადგენენ.

ვისი ბრახია?



კატარა ლენა გამოაგდეს სასტუმრო
ოთახიდან. სახლში დიდი სამზადისია,
რადგან მისი დედის სახელწოდების დღეა.
ლენა თამაშობს ბურთს, ბურთი ძახე
უფრო დიდია.

მაგ ციცუნიას ბევრი ბურთი უნახავს, მაგ-
რამ ამ სიდიდე კი არც ართხელ. ხან აქეთ დაცუცქედება,
ხან იქით, ცდილობს დაიჭიროს ბურთი, თანაც ეშინია რომ
ახალი ჰირის ფერი საუელო, რომელითაც განკებ დღეს
მორთეს, არ გაუფუჭდეს.

დღეს ეველანი ბლომთ შეექცევიან ტკბილეულობას.
სტუმრებისთვისაც საუოფია, ლენასაც თავისი ციცუნითი
ბლომთ ვრგო.

დაჭკრა ხუთმა საათმა. იმავე წამს გამოჩნდა მსახური
ფილიპე. ის მოდიოდა ჩაის ჭურჭელით ხელში, დინჯათ,
ამაყათ, რას მოიფიქრებდა რომ უბედურება დაემართებოდა.

ლენა განქარებული თამაშობს ბურთს, ციცუნია ცდი-
ლობს წაართვას ბურთი და შედ ახტება, ფილიპე დატ-
ვირთული ჩაის ჭურჭელით ნელ-ნელა აბიჯებს.

— ბრახ.. მოისმა ხმაურობა, ამას მოჰყვა წივილ-
კივილი, დიასახლისმა სასტუმრო ოთახის კარი გაღო,



სწორეთ იმ დროს, როდესაც ჰაერში ფრინველები
ძვირფასი ჩაის ჭურჭელი.

ფილიპეს შეეშინდა ქაღობტონის რისხვისა და თავის
გასამართლებლათ წამოიძახა.

— ქაღობტონო, ეს ლენას ბრალია!

ლენამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რაშია იყო საქმე,
რადგან შვენიერი ფინჯანი გამოექანა და ზედ თავზე წა-
ეხურა. და ამანაც სწრაფათ წამოიძახა:

— ეგ ციცუნის ბრალია!

ციცუნამ თითქოს გაიგო ცილის წამება და დაიკნაულა:

— ძიაუ, ძიაუ, ძიაუ! თითქოს ამბობდა, ჩემი ბრალი
კი არა — ბურთისააო!

ნეტავი ვიცოდეთ, ბურთი ვიღას დაბრალებდა!



გ ა ს ა რ თ ო ბ ი

მრთმა კაცმა უთხრა მეორეს: „რა კარგი თმა გას-
ნიაო?!“. მეორემ უპასუხა: „თავი კარგი მაქვს და
თმაც კარგი და შესაფერა მასნიაო!“ „ნურც მაგრე იტყ-
ვიო!“ შენიშნა ჰირველმა: „ეწერი მწირი ადგილია, მაგ-
რამ გვიძობრა კი სძირი და ძალალი იცისო!“..

ერთმა მოსამართლემ სკივრისა ივის მჭედელს სარაზა-
ვი გააჭედინა. მჭედელმა სკივრს სარაზავი შეცდომით მრუ-
დეთ მიაჭედა, მსაჯული ისე შეაწუსა ამ კარემოებამ, რომ
შერაზინ ანუგემა. მაშინ მასთან მივიდა ერთი ცსვირ მოქ-
ცეული მწერალი და თამაშათ უთხრა: „უფალო მსაჯულო!
თქვენ რაზის სიმრუდეს ასე შეუწუსებინართ; მე ცსვირი
მაქვს მთლათ მოქცეული, მაგრამ თავს არ ვიკლავო!“.

ერთ კაცს შეღამისას ცეცხლი გაუჩნდა და სახლი
ეწოდა. გაშმაგებული ჰატრონი გამოიჭრა კარეთ მუგუზ-
ლით ხელში და თქვა: „ვინც მე ეს მიეო, იმასაც ახლა-
ვე ჩემ დღეს დავაყენეო!“ ცოლმა ხელი სტაცა, გააჩერა
და უთხრა: ჯერ ეს ცეცხლი გააქრე და მერე სხვისი ჯავ-
რი იყარეო.



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი კოსტა გოქაძესაგან).

ოთხნი ძმანი, თანასწორნი
ერთსა ღედის გულზე სხედან,
მაგრამ ამათ ოთხსავე ერთათ
ვერასოდეს ვერა ეხედავთ.
ხანგრძლივი აქეთ მათ სიცოცხლე
სიკვდილი არ ეკარება;
მხოლოთ მათში რიგ-რიგათა
სამსა ძინავს—ერთი ჩნდება

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან).

უსულო არის, მეცნიერია,
ენა აბია მოლაქლაქეო,
ლარიბი კაცი მას ვერ იზოვის
თუ არ მდიდარი, მოქალაქეო.

დიდი ლოდი ვარ, გულ-ჩვილი,
ყველასთვის სანატრელია;

უჩემოთ სადილს ვერა ჯამს
ვერც ერი, ვერცა ღედელია.

(წარმოდგენილი უცნობისაგან).

ის რა არის რომ ყველა მას ენდურება, ლანძღავს, მაგრამ იგი
მაინც ყველას ეწვევა ხოლმე.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი გ. ბოკერიასაგან)

ღროზე ამდგარსა კურღელსა მწვეარი ვერ მისწედება.

სიხმარში ნახულ—ნაცადი ცხადთ რა მოსახმარია. ✓

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან).

გული გაიჭრის სიტყვითა, ეითა აღმასის დანითა.

სიტყვა ზოგჯერ აღმასია, აღმასიეთა მკვეთელი;
ზოგჯერ კი ბლაგვი დანაა ბორბუტებისა მთესველი. ✓

ზ კ ა.

(წარმოდგენილი მისევე)

გამელა სული კობტა სოფიკომ
და ნახა რითაც იტანჯებოდა.


ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი კოცე სეხნიაშვილისაგან).

ნათლიამ ნათლულის მამა, გადაანათლულის მამა: ✓



ჩიტი პატარა სპილო?



მთის ხალხი



პატარა ქათამი



ს


10




ნ



1/12 წლისა, რ



რ



№ IX გამოცანებისა.

გამოცანა: ღარი.

ზმა: თევზი, წინა, ტარო, ყმა, ილო.

ეპიტეზისი: რა ერთსა გცემენ ათასნი ეგრეცა მოგერევიან.



უჯრების ამოცანა.

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თ | უ | რ | ა | შ | ა | უ | ლ | ი | ს | პ |
| ა | ტ | რ | ო | ნ | ი | ტ | ყ | ე | | |
| | შ | ი | ღ | ა | ე | ძ | ე | | | |
| | | ბ | ს | კ | უ | ნ | | | | |
| | | | ე | ლ | ს | | | | | |
| | | | | ა | | | | | | |

რ ე ბ უ ს ი: გვირბის კარსა ჭაბუკნი ათი ათასნი მცველია,
 მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია,
 სთქვეს ვითათბიროთ ვითა სჯობს აწ გამორჩევა ძნელია
 ასი ათასსა აჯობებს თუ გამორჩევით მქნელია.

უჯრების გამოცანა და რებუსი ახსნა: ბათომის გემნაზის
 მოსწავლემ ვანო რამიშვილმა და რებუსი თელავის სასულიერო სა-
 სწავლებლის მოსწავლემ ვანო მთვარელიშვილმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.



საუბაწვილო ნახატებიანი ყურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მათე

გიზოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ყურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევები-საგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხა-ეათ.

ყურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თფილისში—წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз. Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*



საქართველოს
საქართველოს